

2022-2023 სასწავლო წლის
სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა
ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა
შინაგანი სწულებები (არჩევითი)

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (N3; 05/01/2007) შესაბამისად.

სტუდენტის მიღწევა ფასდება 100 ქულიანი შკალით. შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი საგამოცდო შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.

შუალედური შეფასების მეთოდების/ნაწილების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით:

შეფასების მეთოდი/ნაწილი	ქულების რაოდენობა	განმარტება
დასწრება	5 ქულა;	ლექცია-სემინარზე დასწრების შეფასება შეადგენს 0-5 ქულას. გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს დასწრების ქულა არ მიენიჭება (0 ქულა). პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების ქულების გადათვლა მოხდება დასწრების საერთო ქულიდან პრაქტიკული მეცადინეობების რაოდენობის საშუალო არითმეტიკულით.
აკადემიური აქტიურობა	≤25 ქულა;	სასწავლო თემის შესაბამისი საკითხის ირგვლივ თხრობით ჩამოყალიბებული დებულებების / შინაარსის / მტკიცებების / განხილვების და/ან აღნიშნული საკითხის გამოკითხვის (პასუხები დასმულ შეკითხვებზე) შედეგების შეფასებით. აკადემიური აქტიურობის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს პროფესიული მიდრეკილებების გამოვლენა. შეფასება ხდება მაქს. 4 ქულით. კურსის მიმდინარეობაში ასეთი შეფასება ხორციელდება 8-ჯერ
კოლოკვიუმები	≤30 ქულა	კურსის განმავლობაში ჩატარდება 2 კოლოკვიუმი; თითოეული კოლოკვიუმის წარმოდგენის შეფასდება ≤15 ქულით.
სულ	≤60 ქულა	გამოითვლება დასწრების, აკადემიური აქტიურობის და კოლოკვიუმის შეფასების ქულათა ჯამით

სასწავლო კურსი მთავრდება დასკვნითი გამოცდით. გამოცდა ფასდება 40 ქულით.

!!! გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, თუ შუალედური შეფასებისა და მინიმალური საგამოცდო შეფასების ჯამით მას შეიძლება დაუგროვდეს 51 და მეტი ქულა, ანუ შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 31 ქულას.

საგამოცდო შეფასება შედგენილი იქნება ორი კომპონენტით: მრავალარჩევნიანი ტესტებით და ზეპირი გამოკითხვით შეფასების კომპონენტებისგან. შესაბამისად შეფასებები განხორციელდება ამ კომპონენტების ჯამური შედეგებით: მრავალარჩევნიანი ტესტებით შეფასების წილი არ აღემატება 20 ქულას, ისევე როგორც ზეპირი გამოკითხვის შედეგი - 20 ქულას.

შეფასების სისტემით დაშვებულია ხუთი სახის (დონის) დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი –91 ქულა და მეტი;
- (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;
- (C) კარგი –71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;
- (E) საკმარისი –51-60 ქულა;

შეფასების სისტემით დაშვებულია ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (F_x) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა - რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – ≤40 ქულა - რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.